

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №760

2020 წლის 18 დეკემბერი

ქ. თბილისი

„კომუნალური გადასახადების სუბსიდირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 აპრილის №220 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „კომუნალური გადასახადების სუბსიდირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 3 აპრილის №220 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 04/04/2020, 280000000.10.003.021932) შეტანილ იქნეს ცვლილება და 7¹ მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. იურიდიულმა პირებმა, კანონმდებლობის (მათ შორის, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის სამართლებრივი აქტების) მოთხოვნათა შესაბამისად, 2020 წლის 15 ივლისის ჩათვლით, საკუთარი პასუხისმგებლობით, უზრუნველყონ ამ დადგენილების საფუძველზე მათ მიერ წარდგენილი კომუნალური გადასახადების სუბსიდირებას დაქვემდებარებული საყოფაცხოვრებო მომხმარებლების სიების კორექტირება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), სამინისტროში წარდგენა და შესაბამის ხელშეკრულებაში ცვლილების გაფორმება, არაუგვიანეს 2020 წლის 28 დეკემბრისა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრის მოვალეობის
შემსრულებელი

გიორგი გახარია

